თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 1

2016 წლის „06“ იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

ესწრებოდნენ : საკრებულოს 32 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი

მ. ხიზანიშვილი, ნ.ხვისტანი, ნ.ცაძიკიძე, გ.აზიკური, ნ.ჯანდიერი, მ.გრემელაშვილი, რ.ბოტკოველი, ი.ქევხიშვილი, ზ.მამალაშვილი, კ.ენუქაშვილი, ბ.პაპაშვილი, ზ.პარწიკანაშვილი, ტ.დარეჯანიშვილი, ვ.არაბული, ლ.მრელაშვილი, გ.მამუკელაშვილი, გ.აივაზაშვილი, ნ.მაისურაძე, ს.ჩახუტაშვილი, ზ.ზაზაშვილი, გ.სეხნიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლევან ბერძენაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მიხეილ შაშიაშვილი.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი გ.ყურშიტაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სოსო მეგუთნიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მ/შემსრულებელი ნელი ცქიტიშვილი.

საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი მაია მარკოზაშვილი

საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო ასანაშვილი.

საკრებულოს მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი სოფიო ოხანაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტის მ/შემსრულებელი ნიკა სახიაშვილი.

თავმჯდომარემ დეპუტატებს დასამტკიცებლად წარუდგინა

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.ყურშიტაშვილი
15.00სთ-დან -15.20 სთ-მდე

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა დეპუტატმა.

მოისმინეს:1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.ყურშიტაშვილი
15.00სთ-დან -15.20 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: პ. გიორგობიანი: გასული წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები წარმატებით ხორციელდება, რამაც საშუალება მოგვცა მოსახლეობის მთელი რიგი პრობლემები მოგვეგვარებინა, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება მოგვიწევს. სამწუხაროდ მწირი ბიუჯეტი საშუალებას არ გვაძლევს სრულად დავაკმაყოფილოთ ყველა ის მოთხოვნა, რასაც ჩვენგან მოსახლეობა ითხოვს. წინა წლებთან შედარებით ამ საქმეში გამოყოფილი მიმდინარე წლისთვის გაზრდილი ფინანსური საშუალებები მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს ქმნის.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა დეპუტატმა)

მოისმინეს: 2. სხვადასხვა

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სახელით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღების თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის N71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ცაბიკიძე: მიმაჩნია, რომ სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გასატანი ტექნიკის შესაძენად მთავრობის მიერ შემოთავაზებული წინადადება სესხის აღების შესახებ, მუნიციპალიტეტისათვის სარგებლიანია და წარმოდგენილ პროექტს მხარს ვუჭერ.

პაატა გიორგობიანი: აღნიშნულ საკითხზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში შესატანი ცლილებებით გათვალისწინებულია სესხის დაფარვის მნიშვნელოვანი შეღავათები. აღსანიშნავია ისიც, რომ სესხის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სპეც-ტექნიკის შეძენა, რაც მეტად საჭიროა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების ორგანიზებული გატანისათვის.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 19 დეპუტატმა, მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა - ი.ქევხიშვილმა, რ.ბოტკოველმა, ზ.მამალაშვილმა)

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი